ქ.დედოფლისწყარო 28.02.2011წ.

ქ. დედოფლისწყარო,
მ.კოსტავას ქ.№42
ტელ. 825625534
www.dedoplistskaro.ge.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება№15

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების სათბობი შეშით უზრუნველყოფის მიზნით, „თვითმმართველი ერთეულებისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2010 წლის 20 ნოემბრის №383 ბრძანების შესასრულებლად გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 30 დეკემბრის №99 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

მუხლი 1. „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების სათბობი შეშით უზრუნველყოფის მიზნით, „თვითმმართველი ერთეულებისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2010 წლის 20 ნოემბრის №383 ბრძანების შესასრულებლად გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 30 დეკემბრის №99 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 30 დეკემბრის №99 განკარგულებით დამტკიცებული „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების სათბობი შეშით უზრუნველყოფის წესი“-ს მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პუნქტი 2. ზამთრის სეზონზე სათბობი შეშით უზრუნველყოფის მიზნით შეირჩეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი (ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57000 და ნაკლები) შემდეგი კატეგორიები:

2.1 მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ჰყავს 4 და მეტი შვილი და ერთი მაინც არის არასრულწლოვანი;

2.2 მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ოჯახი;

2.3 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვიანი ოჯახი;

2.4 მარტოხელა პენსიონერის (პენსიონერთა) ოჯახი, რომელსაც არ ჰყავს კანონით გათვალისწინებული მარჩენალი მისი საცხოვებელი ადგილის მიუხედავად;

2.5 ობოლი და მარჩენალდაკარგული ბავშვიანი ოჯახი;
2.6 მარტოხელა დედა;

2.7 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახი;
2.8 სოციალურად დაუცველი ოჯახი, რომელსაც რეკომენდაციას გაუწევს მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებული ტერიტორიულ ორგანოში.“

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

მუხლი3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. დედოფლისწყარო, კიკვიძის ქ. №2) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი